



საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 6 14 00000773

05/06/2014

**თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე**

„თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ (დანართი N1).
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ქვედანაყოფებმა 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში იხელმძღვანელონ ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელოთი.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი  
ირაკლი გეგეჭკორი

2014

თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო



საქართველოს თავდაცვის  
სამინისტრო

## სარჩევი

შესავალი .....	3
მიზანი .....	4
თავდაცვის დაგეგმვის სისტემა .....	5
თავდაცვის პრიორიტეტები .....	7
თავდაცვის რესურსების მართვის სისტემა .....	8
პროგრამის კოორდინატორებისა და პროგრამის მენეჯერების როლი .....	9
ფინანსური რესურსები .....	11
თავდაცვის სამინისტროს პროგრამების სტრუქტურა 2015-18 წლებისათვის .....	13
მითითებები პროგრამის კოორდინატორებისა და პროგრამის მენეჯერებისათვის.....	14
დასკვნა .....	16

## შესავალი

საქართველოს უსაფრთხოების გარემო კომპლექსური და სწრაფად ცვალებადია, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას და სტაბილურობის განმტკიცებას. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე მზარდი დამოკიდებულება, შიდა და რეგიონული უსაფრთხოება და ენერგორესურსებზე წვდომა იმ კომპლექსური ფაქტორების მცირეოდენი ჩამონათვალია, რაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოს აყალიბებს. ისეთი რისკები და საფრთხეები, როგორცაა: საგარეო აგრესიის განახლება, ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ადგილებში პროვოკაციების მოწყობა, ჩრდილო კავკასიიდან პოტენციური კონფლიქტების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოდინების შესაძლებლობა თავდაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე აყენებს - განავითაროს თანამედროვე შეიარაღებული ძალები, რომელიც მზად იქნება უპასუხოს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს და სათანადო რეაგირება მოახდინოს მათზე.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს. ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შექმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ გარანტიებს. საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარება და დასავლურ სტანდარტებთან დაახლოება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს შეიარაღებული ძალები აქტიურად იქნება ჩართული ნატოს, ევროკავშირისა და გაეროს მანდატით განხორციელებულ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანების შესასრულებლად - ქვეყნის მოქალაქეებისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველსაყოფად - ესაჭიროება შესაბამისი შესაძლებლობების მქონე შეიარაღებული ძალები, რომელთა განვითარება უწყვეტი პროცესია. აღნიშნულ პროცესში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არსებული პრიორიტეტების შესაბამისად შეზღუდული რესურსების გონივრული გადანაწილებაა.

„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მთავარი ამოცანა შესაბამისი მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თავდაცვის რესურსების ოპტიმალური განაწილება.

## მიზანი

„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს მოკლე და საშუალოვადიან დაგეგმვის დოკუმენტს, რომლის მიზანია ხელმისაწვდომი რესურსების პირობებში სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის საჭირო მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. სახელმძღვანელო 2015 წლის საბიუჯეტო და 2016-2018 პროგრამული წლების მითითებებს მოიცავს. დოკუმენტი თავდაცვის პროგრამული ბიუჯეტის შედგენას და რესურსების განაწილების პროცესში უწყვეტობისა და პროგნოზირების პრინციპებს ითვალისწინებს.


დოკუმენტი ასევე მიზნად ისახავს კონკრეტული მითითებების შემუშავებას, თავდაცვის რესურსების რაციონალურად გადანაწილებას პირად შემადგენლობაზე, ოპერაციებსა და მხარდაჭერაზე, აღჭურვილობის შექმნაზე, სოციალური უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მიზანია თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების პროცესის მხარდაჭერა, შეიარაღებული ძალების დაბალანსებული შესაძლებლობების განვითარება არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირებისათვის და ამავდროულად, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016“ დოკუმენტით განსაზღვრული „ძალთა სტრუქტურა 2016-ზე“ ეტაპობრივი გადასვლა. დოკუმენტი ასევე ემსახურება თავდაცვის რესურსების დაგეგმვისა და მართვის სისტემის ინსტიტუციონალიზაციას. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა თავდაცვის დაგეგმვის, რესურსების მართვის და ბიუჯეტთან დაკავშირებული თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკის დანერგვა, რაც ოპერაციების გამჭვირვალობასა და შედეგების ანგარიშვალდებულებაზე აისახება. „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოთი“ განსაზღვრული მითითების განხორციელება ხელს შეუწყობს თავდაცვის პროგრამების განვითარებას და ბიუჯეტის გამჭვირვალობას, რაც თავის მხრივ აისახება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ზრდაზე. მითითებების ჩამოყალიბება მიზნად ისახავს თავდაცვის სამინისტროს კონკურენტული პროგრამების მოთხოვნებისთვის რესურსების ოპტიმალურ განაწილებას.

სახელმძღვანელოს მიზანია თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტური და ოპტიმალური განაწილების გზით. თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს აქვს ფუნქცია „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოთი“ განსაზღვრული მითითებების განხორციელებაში, ხოლო მათი როლი და პასუხისმგებლობა დეტალურად განისაზღვრება „თავდაცვის დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის სახელმძღვანელოში“.

## თავდაცვის დაგეგმვის პროცესი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაგეგმვის პროცესი მოიცავს ძალთა, შეიარაღების, რესურსების, ლოგისტიკის მართვისა და კონტროლის დაგეგმვას მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის მიზანია ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტების შესაბამისად შეიარაღებული ძალების განვითარება. თავდაცვის დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საქართველოს „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას“, ასევე „საფრთხეების შეფასების დოკუმენტს“, „ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას“, „თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვას“, „მინისტრის ხედვას“ და „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ (იხ. სქემა N 1).




„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ ეფუძნება სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც საქართველოს თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში განისაზღვრება. დაგეგმვის პროცესში ეროვნული უშიშროების საბჭო და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო კოორდინაციას უწევს თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის სამართლებრივი აქტების - „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“, „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის“ და „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის“ შემუშავებას, რაც თავდაცვის სამინისტროს შიდა უწყებრივი დაგეგმვის საფუძველს ქმნის (იხ. სქემა N 2).

თავდაცვის სამინისტრო ზემოაღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეიმუშავებს:

- „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016“ (თსმ) - განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს.
- „თსმ-ის იმპლემენტაციის გეგმა“ უზრუნველყოფს თსმ-ის დოკუმენტით ჩამოყალიბებული ღონისძიებების განხორციელებას მითითებული თარიღებისა და პასუხისმგებელი ერთეულების განსაზღვრით.
- „მინისტრის ხედვა 2013-2014“ - ასახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს დაგეგმვის მოკლევადიანი პერიოდისთვის.
- „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო 2014“ - ასახავს მომავალი საბიუჯეტო წლის პროგრამის სტრუქტურას, შემდგომი სამი წლის განვითარების პროგრამებს და ღონისძიებებს. დოკუმენტი

ასევე განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების მხარდასაჭერად საჭირო მოთხოვნებს, ახდენს რესურსების პრიორიტეტიზაციას და პროგრამის მენეჯერებისათვის ასახავს თავდაცვის პროგრამების შესამუშავებლად საჭირო მითითებებს (პრიორიტეტები, პერსონალის და ფინანსების ზღვრული რაოდენობა). „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს საბაზისო დოკუმენტს თავდაცვის პროგრამის განვითარებისათვის საბიუჯეტო და შემდგომი წლებისათვის.

სქემა №2. თავდაცვის დაგეგმვის სისტემა



„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მომზადების პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, ხოლო მისი აღსრულებისა და შეფასების პროცესზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფინანსების მართვის დეპარტამენტს და J4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტთან ერთად.

„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ გამოიცემა ყოველწლიურად და მტკიცდება თავდაცვის მინისტრის მიერ, რის საფუძველზეც ხდება თავდაცვის სამინისტროს რესურსების განაწილება მათი ცვალებად საჭიროებებთან მისადაგების მიზნით.



## თავდაცვის პრიორიტეტები

თავდაცვის სამინისტროს რესურსების განაწილების ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრულია „მინისტრის ხელდა 2013-2014“ და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016“, რომელიც თავის მხრივ, გამომდინარეობს „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“, „საფრთხეების შეფასების დოკუმენტის“ და „ეროვნული სამხედრო სტრატეგიის“ დებულებებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ეს დოკუმენტები კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ისინი არ აწესებენ რესურსების შეზღუდვებს თავდაცვის განვითარების პროგრამებისა და პრიორიტეტებისათვის. თუმცა ამ დოკუმენტის მითითებები უმნიშვნელოვანესია თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის ზოგადი მიმართულების მხარდასაჭერად (იხ. სქემა №3)

თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები (სქემა №3)

თავდაცვის მინისტრის ხელდა 2013-2014 (პრიორიტეტული მიმართულებები)	თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016 (ძირითადი მიმართულებები)
<ul style="list-style-type: none"> <li>• სამოქალაქო კონტროლი და გამჭვირვალობა</li> <li>• თავდაცვის შესაძლებლობები</li> <li>• ადამიანური რესურსების მართვა და პროფესიული განვითარება</li> <li>• ინსტიტუციური რეფორმები</li> <li>• ნატოსთან თავსებადობა და საერთაშორისო თანამშრომლობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სშმ-ის მისიები და შესაძლებლობების გაძლიერება</li> <li>• სშმ-ის მოდერნიზებასთან დაკავშირებული გამოწვევები</li> <li>• თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის განვითარება</li> <li>• ლოგისტიკური მოთხოვნების ჩამოყალიბება</li> <li>• წვრთნებისა და განათლების ინსტიტუციონალიზაცია</li> <li>• ადამიანური რესურსების მართვა</li> <li>• რეზერვის სისტემის ტრანსფორმაცია</li> <li>• უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება</li> <li>• სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა</li> </ul>

შეზღუდული რესურსების პირობებში, თავდაცვის სამინისტროს გამოწვევად რჩება შესაძლებლობებზე დაფუძნებული პროგრამების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტის შედგენა.



## თავდაცვის რესურსების მართვის სისტემა

თავდაცვის რესურსების მართვის სისტემა თავდაცვის ერთიანი სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს ეფექტური და გამჭვირვალე, პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის და შეიარაღებული ძალების განვითარების სამწლიანი პროგრამების შემუშავება, რომელიც ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ საბიუჯეტო წლის დაფინანსების ზღვრულ ოდენობასა და შემდგომი სამი წლის ფინანსურ პროგნოზს. თავდაცვის პროგრამის შემუშავება ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებას ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას.

თავდაცვის რესურსების მართვის სისტემა უზრუნველყოფს ძალთა დაგეგმვასა და მოდერნიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღსრულების ზედამხედველობას, სავარაუდო საფრთხეებზე საპასუხოდ თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ განკარგვას. სისტემა მიზნად ისახავს შეზღუდული რესურსების პირობებში შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და სამომავლო ძალთა სტრუქტურის განვითარებას, რათა მათ შემდგომ საქართველოს კონსტიტუციით და ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული ამოცანების წარმატებით განხორციელება.

შეიარაღებული ძალების საერთო მოთხოვნების განსაზღვრა, მათ შორის, დაუფინანსებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე რისკების წარმოჩენა საპარლამენტო თუ სხვა სახის სამთავრობო განხილვების დროს მნიშვნელოვანი ბერკეტია თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ბიუჯეტის სათანადო დასაბუთებისთვის ან დამატებითი რესურსების გამოყოფის მოთხოვნისათვის. მოთხოვნილი ფინანსური რესურსების სათანადო დასაბუთება, ხოლო შემდგომ ბიუჯეტის აღსრულების შესახებ მოხსენების წარდგენა გაზრდის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე და განამტკიცებს თავდაცვის სისტემის სანდოობას.

## პროგრამის კოორდინატორებისა და პროგრამის მენეჯერების როლი

პროგრამის კოორდინატორები და პროგრამის მენეჯერები „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო 2014-ის“ შესაბამისად, პასუხისმგებლები არიან განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში თავდაცვის პროგრამების შემუშავებაზე, კოორდინაციასა და მათ წარდგენაზე. შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებისათვის საჭირო რესურსების მოთხოვნები საფუძვლად დაედება 2015 წლის ბიუჯეტის და 2016-2018 წლების პროგრამების შემუშავებას. თავდაცვის სამინისტროს პროგრამების კოორდინატორებისა და მენეჯერების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია პროცესის მონაწილეების მჭიდრო თანამშრომლობა და პრობლემების გადაჭრისას ნოვატორული და კრეატიული მიდგომების გამოჩენა. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციები მოდიფიცირებული იქნება ყოველწლიურად, პროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში დაგროვილი გამოცდილების შესაბამისად.

პროგრამის კოორდინატორებს და პროგრამის მენეჯერებს კომპეტენციის ფარგლებში, საჭირო ინფორმაციის შესაბამისად, დახმარებას უწევენ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, რაც გამოიხატება შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების შეფასება/ანალიზისა და ნაკლოვანებების დადგენაში, ასევე პროგრამების შემუშავების პროცესში შესაბამისი ექსპერტიზისა და ინფორმაციით უზრუნველყოფაში. პროცესი ასევე მოიცავს 2013 წლის თავდაცვის ბიუჯეტის აღსრულების შეფასებას და 2014 წლის ხარჯვის პერიოდულ ანალიზს. ამ შეფასებებზე დაყრდნობით და „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მითითებების შესაბამისად, პროგრამის კოორდინატორები და პროგრამის მენეჯერები მოახდენენ მათ მიერ შემუშავებული პროგრამების წარდგენას საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ პროგრამების შემუშავება, ბიუჯეტის წარდგენა და აღსრულება შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის „ქვეყნის ძირითადი მიმართულებების და მონაცემების დოკუმენტთან“ (იხ. სქემა N4).

სქემა N4 ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს ძირითადი საბიუჯეტო მოქმედებები.

საბიუჯეტო ვადები	საბიუჯეტო ღონისძიებები 2015-2018 საშუალოვადიანი პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებისათვის
1 მარტი	მთავრობის დადგენილების გამოცემა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ
10 მარტი	პროგრამების კოორდინატორების/მენეჯერების მიერ 2015 წლის საბიუჯეტო გეგმების მომზადება
20 მარტი	მართვის ჯგუფის მიერ 2015 წლის კონსოლიდირებული საბიუჯეტო გეგმის განხილვა/დამტკიცება
31 მარტი	თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2013-2014 წლების შეფასებისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის წარდგენა
1 აპრილი	პროგრამების კოორდინატორების მიერ საშუალოვადიანი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წარდგენა
10 აპრილი	მართვის ჯგუფის მიერ პროგრამების შესახებ ინფორმაციის განხილვა და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოსათვის წარდგენა

15 აპრილი	თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და პროგრამული ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა
30 აპრილი	თავდაცვის სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ
3 ივლისი	თავდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში

პროგრამების შედგენის პროცესის ზედამხედველობა, კოორდინაცია და მენეჯმენტი თავდაცვის სამინისტროში ხორციელდება რამდენიმე დონეზე:

**პირველ დონეზე**- პროგრამების შემუშავების პროცესის საერთო ზედამხედველობას ახორციელებს თავდაცვის მინისტრისა და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილეები ფინანსებისა და რესურსების მართვის საკითხებში.

**მეორე დონეზე**- ძირითად პროგრამებს ხელმძღვანელობენ და მათი შესრულების კოორდინაციას ახორციელებენ ძირითადი პროგრამების კოორდინატორები - თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თავდაცვის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (ს.ს.ი.პ.) ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროგრამების შემუშავების პროცესის საერთო კოორდინაციასა და საჭირო რესურსების მოთხოვნების განსაზღვრაზე;

**მესამე დონეზე** - ქვეპროგრამების უშუალო შემუშავებაზე, განხორციელებაზე და მენეჯმენტზე პასუხისმგებელია ქვეპროგრამის მენეჯერი, რომელსაც წარადგენს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი. ქვეპროგრამის მენეჯერი პასუხისმგებელია მის შემუშავებაზე, ალტერნატივების ანალიზსა და საჭირო რესურსების გათვლაზე “თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების და მოცემული რესურსების ლიმიტების ნაწილში.

## ფინანსური რესურსები

თავდაცვის სამინისტროს რესურსების დაგეგმვა წარმართება მთავრობის მიერ განსაზღვრული საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად, რომელიც მოცემულია „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტში. დოკუმენტით განსაზღვრულია თავდაცვის სამინისტროზე გათვალისწინებული საბიუჯეტო საპროგნოზო მაჩვენებლები (იხ. სქემა N5):

სქემა N5 თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2014-17-ის შესაბამისად.

წელი	ნომინალური მშპ	თავდაცვის ბიუჯეტი	მშპ %	მშპ-ის რეალური ზრდა
2013	27,009,200,000	660,000,000	2.44%	2,5%
2014	29,352,300,000	660,000,000	2.25%	5,0%
2015	31,744,500,000	700,000,000	2.21%	5,0%
2016	34,331,700,000	730,000,000	2.13%	5,0%
2017	37,129,700,000	760,000,000	2.05%	5,0%

თავდაცვის სამინისტროს პროგრამების დაფინანსება ძირითადად ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს დაფინანსების ძირითად წყაროს, თუმცა თავდაცვის სამინისტრო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა მატერიალური და ფინანსური აქტივებითაც სარგებლობს (იხ. სქემა N8).

საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდები წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილ ფონდებს. ორივე ფონდის მოცულობა წლიური სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს შეადგენს. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად.

თავდაცვის სამინისტრო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ამ რესურსების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფის, ევროკავშირის ოპერაციაში მონაწილეობასთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) დაკავშირებით (11 მლნ ლარი) თავდაცვის სამინისტრომ მიმართა მთავრობას ფონდიდან ფინანსური რესურსების გამოყოფის თაობაზე.

უცხოური სამხედრო დაფინანსების ფონდების (FMF) პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება აშშ-ის მხრიდან გრანტებისა და ფინანსური რესურსების გამოყოფა თავდაცვის სამინისტროსთვის, აშშ-ში წარმოებული შეიარაღებისა და თავდაცვითი აღჭურვილობის შესყიდვის, თავდაცვის მომსახურების შეძენისა და სამხედრო ტრენინგების ჩატარების მიზნით. ეს დახმარება ძირითადად მიმართულია საერთაშორისო მისიებში მონაწილე ქვედანაყოფების აღჭურვისა და წვრთნებისათვის, თუმცა ასევე ითვალისწინებს სხვა პროგრამების დაფინანსებას.

ნატოს ნდობის ფონდის (NATO Trust Fund) მეშვეობით ხორციელდება დემილიტარიზაციის და თავდაცვის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული პროექტების მხარდაჭერა. ფონდის დახმარებით ხორციელდება ჭარბი და მოძველებული ნაღმების, იარაღის და ტყვია-წამლის მარაგების უტილიზაცია. ამასთან ერთად, ფონდი მხარს უჭერს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესს, კერძოდ, სამხედროების კვალიფიკაციის ამაღლებას და სამხედრო ბაზების სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენებას.


თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატებით მიღებული გრანტები და ფინანსური დახმარებები ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია თავდაცვის პროგრამების დაფინანსების ჭრილში (სქემა №6).

## თავდაცვის სამინისტროს პროგრამების სტრუქტურა 2015-18 წლებისთვის

თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის თავდაცვის პროგრამების სტრუქტურა ეფუძნება წინა წლის თავდაცვის პროგრამებს და მოიცავს მთლიანად თავდაცვის ბიუჯეტს და ასევე თავდაცვის სამინისტროს სხვა ფინანსურ რესურსებს. ამასთან ერთად, 2015 წლის პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურაში განსაზღვრულია თავდაცვის სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები.(იხ. დანართი №1).

თავდაცვის სამინისტროს პროგრამული სტრუქტურა 2015-2018 წლებისთვის ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტროს არსებული შესაძლებლობების შენარჩუნებას და პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას. პროგრამის სტრუქტურა, რომელიც განისაზღვრება თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოთი არ არის საბოლოო და ექვემდებარება განახლებას. აღნიშნული პროგრამული სტრუქტურიდან დამტკიცდება ძირითადი პროგრამები, რომელთაც შემდგომში განესაზღვრებათ შესაბამისი პროგრამის კოორდინატორები. ხოლო ქვეპროგრამებსა და პროგრამულ ელემენტებზე გაგრძელდება მუშაობა მათი შემდგომი დახვეწის მიზნით „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტით დადგენილი ვადების შესაბამისად. თავდაცვის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურა შედგება შემდეგი პროგრამებისგან: (იხ დანართი №1).

სქემა №6 თავდაცვის სამინისტროს პროგრამები და მათი დაფინანსების წყაროები



შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების პროგრამა მოიცავს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების შენარჩუნებას აუცილებელი საბრძოლო მზადყოფნის მხარდასაჭერად. ეს პროგრამა თავდაცვის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს - დაახლოებით 70-75% შეადგენს (პერსონალის ხარჯები, ოპერაციების ხარჯები, შენარჩუნების ხარჯები).

თავდაცვის ბიუჯეტის დარჩენილი 20-25% გადანაწილებულია დანარჩენ პროგრამებზე და მოიცავს სამხედრო შესაძლებლობების, ინფრასტრუქტურის, სამხედრო განათლების, წვრთნების, საერთაშორისო



მისიებში მონაწილეობის, სამედიცინო, ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას. აღნიშნული პროგრამებია:

- შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა;
- სამხედრო წვრთნა და მომზადება;
- საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება.

დანარჩენი სამი პროგრამის ფარგლებში თემატურად გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:


- ა) გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;
- ბ) კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- გ) დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- დ) კიბერუსაფრთხოების ბიურო.

სსიპ-ები წარმოადგენენ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილს, რომელზედაც თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 5%-მდე მოდის (თავდაცვის ბიუჯეტის დარჩენილი 20-25%-დან).

### მითითებები პროგრამის კოორდინატორებისა და პროგრამის მენეჯერებისთვის (დანართი N2)

თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების საბიუჯეტო მოთხოვნები თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის საფუძველს წარმოადგენს და გამომდინარეობს „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2015-2018 დოკუმენტით“ განსაზღვრული საბიუჯეტო-საპროგნოზო მაჩვენებლების ზღვრული მოცულობიდან, რაც ასახულია „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო 2014-ში“. თუმცა, ამ პროცესში შპ-ის საერთო საბიუჯეტო მოთხოვნა ხშირად აღემატება თავდაცვის სამინისტროსთვის განსაზღვრულ საბიუჯეტო ზღვრულ მოცულობებს.

პროგრამის კოორდინატორები და პროგრამის მენეჯერები პროგრამების შემუშავების პროცესში შეზღუდული არიან თავდაცვის სამინისტროს არსებული საბიუჯეტო ზღვრული მოცულობით, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ უწევთ მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში დამტკიცებული ფინანსური რესურსების გათვალისწინება. მხედველობაში არის მისაღები ფინანსური და მატერიალური აქტივები, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო იღებს ზემოთ აღწერილი დაფინანსების ფარგლებში.





„ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის 2015-2018“ შემუშავების პროცესში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები წარადგინენ არსებული შესაძლებლობების შენარჩუნებისათვის და ასევე ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის საჭირო რესურსების მოთხოვნებს (იხ. სქემა 7).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების მოთხოვნები, რომელიც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, ყოველთვის უფრო ამბიციურია, ვიდრე ის რესურსები, რომელიც მისი მხარდაჭერისთვისაა განკუთვნილი. რისკები, რომლებიც დაკავშირებულია თავდაცვის არსებულ შესაძლებლობებთან უნდა დაბალანსდეს/შემცირდეს კონკრეტული საშუალებებით, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიებასთან, სტრატეგიული პარტნიორობის ჩარჩოებში თანამშრომლობის გაღრმავებასთან, ძალთა სტრუქტურის გადახედვასთან და სხვა. (დანართი N 3).

## დასკვნა

„თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო 2014“ ემსახურება თავდაცვის სამინისტროს მოკლე და საშუალო ვადიანი დაგეგმვის განვითარებას და 2015 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს ერთის მხრივ, „თავდაცვის მინისტრის ხედვა 2013-2014“ პრიორიტეტების შესრულებას და ამავე დროს, ნატოსთან თავსებადი მართვისა და დაგეგმვის ეფექტური სისტემის განვითარებას. დოკუმენტი ამავდროულად ხელს უწყობს შესაძლებლობებზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავებასა და თავდაცვის რესურსების მართვის პროცესის ეფექტურობის, გამჭვირვალობის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ზრდას.

დანართი № 1 თავდაცვის სამინისტროს პროგრამული სტრუქტურა

1. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების პროგრამა	
ქვეპროგრამები	პროგრამული ელემენტები
1.1 პირადი შემადგენლობის ხარჯები	შრომის ანაზღაურება და დანამატები
	დაზღვევა და სოციალური მხარდაჭერა
	კვებით უზრუნველყოფა
	სამედიცინო ხარჯები
1.2 ოპერატიულობის და მხარდაჭერის ხარჯები	უნიფორმა და რბილი ინვენტარი
	საოფისე ხარჯები
	კომუნალური ხარჯები
	მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები
	საზოგადოებასთან ურთიერთობა და გარე ექსპერტიზა
	ინსტიტუციური აღმშენებლობა და გამოცდილების გაზიარება
	მარაგებით უზრუნველყოფა ლოგისტიკური მომარაგების კლასების მიხედვით
	სამხედრო გადაზიდვები
	შეიარაღების და ტექნიკის ექსპლუატაციის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და რემონტის ხარჯები
	სხვა
2. შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა	
ქვეპროგრამები	პროგრამული ელემენტები
2.1 მართვისა და კონტროლის სისტემა	მართვის პუნქტების ლოკალური ქსელით უზრუნველყოფა
	საბრძოლო ტექნიკის რადიო კავშირის საშუალებებით მოდერნიზება
	კავშირგაბმულობის საშუალებებით დაკომპლექტება
	ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა
2.2 საჰაერო თავდაცვის სისტემები	რადიოლოკაციური და რადიო ტექნიკური სადგურების განვითარება
	საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების განვითარება
2.3 ტანკსაწინააღმდეგო სისტემები	ახლო მანძილის ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი საშუალებები
	ახლო, საშუალო და დიდი მანძილის გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები
	ტექნიკაზე დამონტაჟებული მობილური დიდი მანძილის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები
2.4 მობილურობა და კონტრ მობილურობა	ჯავშანტექნიკის პარკის განვითარება
	საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება
	მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვის შესაძლებლობის განვითარება
	საავტომობილო პარკის განვითარება
2.5 სადაზვერვო შესაძლებლობები	თვალთვალისა და რეკონოსცირების შესაძლებლობების განვითარება
	უპილოტო საფრენი აპარატების პროგრამა
	დაზვერვის ბატალიონის შესაძლებლობების განვითარება
2.6 სპეციალური ოპერაციები	ყველა წყაროს ანალიტიკური ცენტრი
	სამთო და ზამთრის აღჭურვილობა
	აერო მობილური და საპარაშუტო საშუალებები
	წყალზე მოქმედების სპეციალური საშუალებები
2.7 საავიაციო შესაძლებლობები	სნაიპერული და სპეციალური სადაზვერვო საშუალებები
	შვეულმფრენების პარკის განვითარება
2.8 სამხედრო სამედიცინო შესაძლებლობები	თვითმფრინავების პარკის განვითარება
	სადიაგნოსტიკო შესაძლებლობების განვითარება
2.9 რეზერვი და მობილიზაცია	სარეაბილიტაციო ცენტრი
	კადრირებული ბატალიონების მომზადება
2.10 საზღვაო თავდაცვის შესაძლებლობის განვითარება	რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარება
	საზღვაო ინფორმაციული და სადაზვერვო უზრუნველყოფის განვითარება
2.11 სიმულაციური საშუალებების განვითარება	საზღვაო თავდაცვის სტრუქტურული განვითარება

2.12	კვების სისტემის გაუმჯობესება	
<b>3. სამხედრო წვრთნა და მომზადება</b>		
<b>ქვეპროგრამები</b>		<b>პროგრამული ელემენტები</b>
3.1	საერთაშორისო, უწყებათაშორისი, გაერთიანებული და კომბინირებული სამხედრო სწავლებები	LONGBOW/LANCER
		ETERNITY
		SEA-BREEZE
		RAPID TRIDENT
		AGILE SPIRIT
		CAMBRIAN PATROL
		დიდგორი
CAPABLE LOGISTITION		
3.2	სამხედრო სკოლების და სასწავლო ცენტრების განვითარება	საერთო საჯარისო მომზადების ცენტრი
		საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი
		სერჟანტთა მომზადების ცენტრი
		ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრი
		კრწანისის სასწავლო ცენტრი
		საჩხერის სამთო მომზადების სკოლა
		საჭაერო-საფრენოსნო ცენტრი
		დაზვერვის სკოლა
		სპეციალური დანიშნულების სკოლა
		რეინჯერის სკოლა
		სნაიპერის სკოლა
საპარაშუტო სკოლა		
3.3	სასწავლო კურსები	სამაგისტრო პროგრამები (საზღვარგარეთ)
		გრძელვადიანი საერთაშორისო კურსები
		მოკლევადიანი სასწავლო კურსები
		სამხედრო-საზღვაო გადამზადების კურსები
<b>4. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება</b>		
<b>ქვეპროგრამები</b>		<b>პროგრამული ელემენტები</b>
4.1	საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერა	RESOLUTE SUPPORT (გადამწყვეტი მხარდაჭერა, ავღანეთი)
		NRF (ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები)
		EUTM (მალი)
		EUFOR RCA (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა)
4.2	საერთაშორისო ხელშეკრულებების ღონისძიებები	„ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების“ შესახებ ხელშეკრულება
		„ღია ცის“ ხელშეკრულება
		„ვენის 2011 წლის დოკუმენტი“
		საერთაშორისო კონვენციები და რეგულაციები
<b>5. ინფრასტრუქტურის განვითარება</b>		
<b>ქვეპროგრამები</b>		<b>პროგრამული ელემენტები</b>
5.1	საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	სამხედრო ქალაქი (ვარკეთილი)
		ოფიცერთა საცხოვრებელი სახლები (გორი)
5.2	სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება	საყაზარმე და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
		სასაწყობო და საპარკო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
		სამხედრო აეროდრომების განვითარება
		საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარება
პოლიგონების და სასწავლო-საწვრთნელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება		
<b>6. ჯანმრთელობის დაცვა</b>		
<b>ქვეპროგრამები</b>		<b>პროგრამული ელემენტები</b>
6.1	ჯანდაცვის ჰოსპიტალური ღონისძიებები	
<b>7. სამხედრო განათლების განვითარება</b>		
<b>ქვეპროგრამები</b>		<b>პროგრამული ელემენტები</b>
7.1	უმადლესი სამხედრო განათლება	დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის

	აკადემია;
7.2 საწყისი სამხედრო განათლება	კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
<b>8. კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა</b>	
<b>ქვეპროგრამები</b>	<b>პროგრამული ელემენტები</b>
8.1 კიბერუსაფრთხოების ბიურო	

დანართი № 2 თავდაცვის სამინისტროს პროგრამებისთვის საჭირო მითითებები

<p><b>პროგრამა №1: შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების პროგრამა</b></p> <p><b>მიზანი:</b> შეიარაღებული ძალების საჭირო ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება არსებული რესურსების გათვალისწინებით.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება; მხარდაჭერი სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირება; კონცეპტუალური და დოქტრინული ბაზის განვითარება; საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ოპტიმიზაცია.</p> <p>პროგრამა გამიზნულია შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობებისა და აუცილებელი ოპერატიული მზადყოფნის შენარჩუნებაზე. პროგრამის ხარჯები თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის თითქმის 80-90%-ს შეადგენს. პროგრამა მოიცავს თავდაცვის სამინისტროს პერსონალს (შრომის ანაზღაურება და დანამატები) და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს (უნფორმა, კვება), ასევე ოპერირებისა და შენარჩუნების (წვრთნების უზრუნველყოფა - საწვავი, საბრძოლო მასალა და სხვა საჭირო საშუალებები) და არსებული ტექნიკის, ტრანსპორტის და შეიარაღების მოვლა-შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვის ხარჯებს.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>აღნიშნული პროგრამა მოიცავს თავდაცვის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს და უზრუნველყოფს საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების არსებული შესაძლებლობების შენარჩუნებას და საჭირო ოპერატიულ მზადყოფნას. ამ პროგრამის კრიტიკული სამხედრო შესაძლებლობები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შმ-ების ქვედანაყოფების პერსონალით დაკომპლექტება (აქტიური და სარეზერვო პერსონალის რიცხოვნობა და შემადგენლობა), მათ შორის, სრულ პროფესიულ სამხედრო სამსახურზე გადასვლასთან დაკავშირებული საჭირო რესურსები, ქვედანაყოფების წვრთნები სხვადასხვა დონეზე (ინდივიდუალური, კოლექტიური), საჭირო აღჭურვილობა, ტექნიკა, კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესება. დასაფინანსებელი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს „მინისტრის ხედვა 2013-2014“ და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის განხორციელების გეგმა 2013-16“ მიხედვით განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ღონისძიებებს.</p>		
<p><b>პროგრამის განხორციელების შეფასების კრიტერიუმები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის არსებული დონის შენარჩუნება</li> <li>➢ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა</li> <li>➢ პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება</li> <li>➢ ძირითადი შეიარაღებისა და ტექნიკის სისტემების შენარჩუნება გარკვეულ დონეზე (%)</li> <li>➢ გაერთიანებული სწავლებების ინტენსივობა (%)</li> <li>➢ სამხედრო მოსამსახურეთა გადინებისა და დანაკარგის შემცირება</li> </ul>		
<p><b>2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები</b></p>		
<b>წელი</b>	<b>განსაზღვრული მითითებები</b>	<b>შენიშვნები</b>
2015	<ul style="list-style-type: none"> <li>• პირადი შემადგენლობის შრომის ანაზღაურების გაანგარიშება თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული გეგმის (თანამდებობრივი ანაზღაურებიდან წოდებრივზე გადასვლა) და სრულ პროფესიულ სამხედრო სამსახურზე გადასვლასთან დაკავშირებით შემუშავებული ხედვის გათვალისწინებით.</li> <li>• შმ-ების ოპერატიულობისა და მზადყოფნის ლოგისტიკური მხარდაჭერა 2015 წლისთვის განსაზღვრული პერსონალის რიცხოვნობის, წვრთნების ინტენსივობის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის განსაზღვრული დონის შესაბამისად.</li> <li>• არსებული პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება.</li> <li>• არსებული სამხედრო ინფრასტრუქტურის და სიმულაციური საშუალებების შენახვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პერსონალის და მასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშება განხორციელდება ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ J1/HR-ის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეიარაღებული ძალების მზადყოფნის სათანადო უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება; ქვედანაყოფებში გეგმიური წვრთნების ჩატარება.</li> <li>• შეიარაღებული ძალების სახეობების/გვარეობების შეიარაღების, ტექნიკის და სპეციალური აღჭურვილობისა და საშუალებების შენარჩუნება.</li> <li>• არსებული სამხედრო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება.</li> <li>• ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დინამიკის შენარჩუნება.</li> </ul>	
--	--	--

<p><b>პროგრამა №2: შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა</b></p> <p>მიზანი: შეიარაღებული ძალების სამომავლო შესაძლებლობების განვითარება შეკავებისა და თავდაცვის ფუნქციის მხარდასაჭერად;</p> <p>სამხედრო ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო შესაძლებლობების გაუმჯობესება.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>პროგრამა გამოიხატავს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების განვითარებაზე. პროგრამა მოიცავს შემდეგი მიმართულებების განვითარებას: საჰაერო თავდაცვისა და საავიაციო, ტანკსაწინააღმდეგო, კავშირგაბმულობის, სპეციალური ოპერაციების ძალების, სადაზვერვო, რეზერვის, მობილურობისა და კონტრმობილურობის ახალი შესაძლებლობების შექმნასა და განვითარებას.</p> <p>ამ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პირადი შემადგენლობის და ინფრასტრუქტურის ხარჯების გაანგარიშება 2015 წლისთვის განხორციელდება.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>აღნიშნული პროგრამა მოიცავს თავდაცვის ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს და იმ რესურსებს, რომელთა მოძიებაც სხვადასხვა ფონდებიდან არის შესაძლებელი და მიმართულია საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერის და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების ახალი შესაძლებლობების განვითარებაზე. პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს „მინისტრის ხედვა 2013-2014“ და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის განხორციელების გეგმა 2013-16“ მიხედვით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს.</p>		
<p><b>პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების ეტაპობრივი დახვეწა, მოდერნიზაცია და განვითარება.</li> </ul>		
<p><b>2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები</b></p>		
<b>წელი</b>	<b>განსაზღვრული მითითებები</b>	<b>შენიშვნები</b>
2015	<p>თავდაცვითი შესაძლებლობების შემდეგი მიმართულებების განვითარების ღონისა და დროის განსაზღვრა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მიერ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვისა და კონტროლის სისტემების გაუმჯობესება;</li> <li>• საჰაერო თავდაცვის სისტემების განვითარება;</li> <li>• ტანკსაწინააღმდეგო სისტემების განვითარება;</li> <li>• მობილურობისა და კონტრმობილურობის შესაძლებლობების განვითარება;</li> <li>• საავიაციო შესაძლებლობების განვითარება; სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარება;</li> <li>• სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება;</li> <li>• საზღვაო შესაძლებლობების განვითარება;</li> <li>• რეზერვის და მობილიზაციის სისტემის განვითარება;</li> <li>• საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერის უზრუნველყოფა;</li> <li>• კვების სისტემის გაუმჯობესება.</li> </ul>	<p>გენერალური შტაბი განსაზღვრავს კონკრეტული სისტემების და შესაძლებლობების მოთხოვნებს</p>



<p><b>პროგრამა 3: სამხედრო წვრთნა და მომზადება</b></p> <p><b>მიზანი:</b> გაწვრთნილი და კარგად მომზადებული სამხედრო პერსონალის, მათ შორის სერჟანტებისა და ოფიცრების წვრთნების სისტემის განვითარება.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>სამხედრო მომზადების ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება; ერთიანი დოქტრინული სისტემის განვითარება; სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებების ეფექტურობის გაზრდა; გამოცდილების გაზიარების სისტემის განვითარება; არსებული საჭიროებების მიხედვით შეიარაღებული ძალების სპეციალისტების მომზადება-გადამზადება. სამეთაურო-სამტაბო სწავლებლების ჩატარება; ტაქტიკური დონის საველე წვრთნების ჩატარება, დაგეგმვის პროცესის დახვეწა; კრიზისების დროს უწყებათაშორისი და საერთაშორისო კოორდინაციის გაუმჯობესება. პროგრამა უმთავრესად ლოგისტიკურ დანახარჯებსა (ტყვია-წამალი) და ადმინისტრაციული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს მოიცავს. 2015 წელს ამ ქვეპროგრამაში შევა (ოფიცერთა წინა მოსამზადებელი კურსები, ოფიცერთა საწყისი კურსები და კაპიტნის საკარიერო კურსები), რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით, არ შედის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დაქვემდებარებაში.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>შეიარაღებული ძალების წვრთნების მხარდაჭერის მიზნით საჭირო დაფინანსების იდენტიფიცირება, რაც დაკავშირებულია ყველა დონეზე არსებული საგანმანათლებლო და წვრთნების ჩატარებისთვის საჭირო სასწავლო მასალების ხარჯებთან და მოიცავს: კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრს, ჯავშანსატანკო სკოლას, სამთო სასწავლო ცენტრს, კაპრალ-სერჟანტთა სკოლას. დაფინანსებისათვის განსაზღვრული პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს „მინისტრის ხედვა 2013-14“ დოკუმენტის და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის იმპლემენტაციის გეგმის 2013-16“ მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს. სამხედრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებული მშენებლობა, რომელიც წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საბოლოო რეორგანიზაციასთან არის ასოცირებული (კურსების ჩამოყალიბება, სკოლის ფილიალები, „ხოოვეტის“ შენობის მშენებლობა/რემონტი) განსაზღვრული, პრიორიტეტიზირებული და კოორდინირებული იქნება პროგრამის მენეჯერთან. პროგრამის მენეჯერმა ასევე უნდა უზრუნველყოს გადასროლის წინა წვრთნების ხარჯების იდენტიფიცირება, რომლებიც განკუთვნილია ავღანეთში გასაგზავნი დანაყოფისთვის, რომელთა დაფინანსება არ ხდება პარტნიორი ქვეყნების მიერ, მათ შორის, საჭირო რემონტი და მშენებლობა.</p>		
<p><b>პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონე;</li> <li>• სწავლებებში/წვრთნებში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის დონე;</li> <li>• წვრთნებში მონაწილეთა რიცხოვნობა;</li> <li>• დაგეგმილი წვრთნების რაოდენობა და შედეგები.</li> </ul>		
2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები		
წელი	განსაზღვრული მითითებები	შენიშვნები
2015	<p>სამხედრო მომზადების სისტემის განვითარება და პროფესიონალიზმის ამაღლება, შემდეგი საწვრთნელი და სიმულაციური ცენტრების და სკოლების ჩამოყალიბება და მათი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა:</p> <p><b>სასწავლო დაწესებულებები/პროგრამები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საერთო საჯარისო მომზადების ცენტრი</li> <li>• ახალქალაქის საწყისი საბრძოლო მომზადების სკოლა</li> <li>• სერჟანტთა მომზადების სკოლა</li> <li>• ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრი</li> <li>• კრწანისის სასწავლო ცენტრი</li> <li>• საჩხერის სამთო მომზადების სკოლა</li> <li>• საჰაერო-საფრენოსნო ცენტრი (შექმნა)</li> <li>• დაზვერვის სკოლა</li> <li>• სპეციალური დანიშნულების სკოლა</li> <li>• რეინჯერის სკოლა</li> <li>• სნაიპერის სკოლა</li> <li>• საპარაშუტო სკოლა</li> <li>• სამაგისტრო პროგრამები</li> <li>• სასწავლო კურსები</li> </ul> <p><b>წვრთნები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წავლება დიდგორი</li> <li>• სწავლება LONGBOW/LANCER</li> <li>• სწავლება ETERNITY</li> <li>• სწავლება SEA-BREEZE</li> <li>• სწავლება RAPID TRIDENT</li> <li>• სწავლება AGILE SPIRIT</li> <li>• სწავლება EX CAMBRIAN PATROL</li> </ul>	<p>პრიორიტეტულობა განისაზღვრება გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს მიერ</p>



<p><b>პროგრამა 4: საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება</b></p> <p><b>მიზანი:</b> საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა; ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>ნატო-საქართველოს პარტნიორობის მექანიზმები: ნატო-საქართველოს კომისია (NGC); ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP); დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის დოკუმენტი (PARP); ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა (MC+GEO WP); ნატოს ნდობის ფონდის და პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP); გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა (BI); „გონივრული თავდაცვის“ ინიციატივა (SD); თავდაცვის განვითარების პროგრამა (DEEP); ნატოს და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციებში/მისიებში მონაწილეობა; ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართულობა (NRF); უუთოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმი (SALW და SCA); ვენის 2011 წლის დოკუმენტი; „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების“ შესახებ და „ღია ცის“ ხელშეკრულებები.</p> <p>პროგრამა აფინანსებს საერთაშორისო სამშვიდობო მხარდაჭერის ოპერაციებისთვის საჭირო ხარჯებს, მათ შორის, იმ ქვედანაყოფებისთვის, რომლებიც კვლავ მსახურობენ ავღანეთში. როგორც წესი, აღნიშნული ხარჯები უპირველეს ყოვლისა, მოიცავდა სშმ-ის იმ პერსონალის კონკრეტულ საბრძოლო დანამატებს, რომლებიც მაღალი რისკის შემცველ ადგილებში მსახურობისთვის ეძლეოდათ.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>იმ რესურსების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაროლილი ქვედანაყოფების ადეკვატურ მხარდაჭერას, ასევე ყველა კომპენსაციის განსაზღვრასა და შესაბამის ბიუჯეტირებას საჭირო ფისკალური პერიოდის განმავლობაში. ასევე მნიშვნელოვანია, გადაროლილი ქვედანაყოფებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს მხარდაჭერის შეთანხმება, რათა შესაბამისი თანხები აისახოს პროგრამებსა და შესაბამისად, ბიუჯეტში.</p>		
<p><b>პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ საერთაშორისო უსაფრთხოების ღონისძიებებში ჩართული პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა;</li> <li>➢ ოპერაციების ხანგრძლივობა;</li> <li>➢ მონაწილე ქვედანაყოფების მზადყოფნის დონე;</li> <li>➢ ოპერაციის წარმატებულობის განსაზღვრა;</li> <li>➢ ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობა;</li> <li>➢ სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციის სტატუსი.</li> </ul>		
<p><b>2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები</b></p>		
<p><b>წელი</b></p>	<p><b>განსაზღვრული მითითებები</b></p>	<p><b>შენიშვნები</b></p>
<p>2015</p>	<p>საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო შესაძლებლობების ამაღლება; ნატოსთან თავსებადობის გაზრდა; საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა; ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• RESOLUTE SUPPORT (გადამწყვეტი მხარდაჭერა)</li> <li>• NRF (ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები) (1 ასეული)</li> <li>• EUTM Mali (2 ოფიცერი)</li> <li>• MILU (1 ასეული)</li> <li>• CBRN ოცეული</li> </ul>	<p>არსებული ოპერაციების ხასიათის ინტენსივობა, საჭიროებები და რესურსებზე მოთხოვნები განისაზღვრება გენერალური შტაბის მიერ.</p>

<p><b>პროგრამა 5: ინფრასტრუქტურის განვითარება</b></p> <p><b>მიზანი:</b> შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების და სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო, საყოფაცხოვრებო და საბინაო ინფრასტრუქტურით მხარდაჭერა.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>საყაზარმე, საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების, პოლიგონების, სასროლეთებისა და სიმულაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სასაწყობო და ტექნიკის მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საინჟინრო-საფორტიფიკაციო და სააეროდრომე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამა აფინანსებს ყველა იმ მშენებლობასა და სარემონტო სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია სმპ-ების ოპერაციული შესაძლებლობის მოთხოვნების მხარდაჭერასთან, მათ შორის, სსიპ-ების მიერ წარმოდგენილ პროექტებს, რომლებიც ასახულია თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>განსაზღვრავს სმპ-ის ოპერაციული მხარდაჭერის მოთხოვნების მხარდასაჭერად შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებისათვის საჭირო რესურსებს. დაფინანსებისთვის წარმოდგენილი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს „მინისტრის ხედვას“ და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის იმპლემენტაციის გეგმის“ მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს. პროექტის კოორდინატორებს ინფორმაციას აწვდიან შემდეგი წამყვანი სტრუქტურები: ოპერატიული სარდლობები, სპეციალური ოპერაციების ძალები, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა და სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები.</p>		
<p><b>პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ გაუმჯობესებული/აღდგენილი და გაზრდილი სამხედრო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის ოდენობა და ხარისხი;</li> <li>➢ დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებზე გადასაცემი საცხოვრებელი ბინების რაოდენობა;</li> <li>➢ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, როგორც კონტრაქტის საფუძველზე, ასევე სხვა გარკვეულ შემთხვევებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულებების შესრულება.</li> </ul>		
<b>2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები</b>		
წელი	განსაზღვრული მითითებები	შენიშვნები
2015	<p>სამხედრო მოსამსახურეთა ყოველდღიური ყოფითი პირობების გაუმჯობესება; სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება; მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა და შესაბამისი შესაძლებლობების (აეროდრომებით მომსახურება და სხვა) გაზრდა; არსებული მარაგების შენახვის პირობების გაუმჯობესება; შეიარაღებისა და ტექნიკის შენახვისა და მომსახურების პირობების გაუმჯობესება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამხედრო ქალაქი (ვარკეთილი)</li> <li>• ოფიცერთა საცხოვრებელი სახლები (გორი)</li> </ul>	

<p><b>პროგრამა 6: ჯანდაცვის ჰოსპიტალური დონის განვითარება</b></p> <p><b>მიზანი:</b> თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სათანადო სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პირობების შექმნა.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>სშმ-ის მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრებისთვის, დადუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისთვის, პენსიონერებისა და სამოქალაქო პირებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ამბულატორიული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა; სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება; მოსამსახურეების საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა. პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხის და ეფექტურობის ამადლების ღონისძიებების შემუშავება და გატარება. ასევე, დაჭრილი მეომრების მკურნალობა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>განისაზღვროს რესურსები საჭირო ოპერატიული ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ჯანდაცვის პროგრამებთან და უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მკურნალობას. წარმოდგენილი მშენებლობა ან არსებული ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოები კოორდინირებული უნდა იყოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამის მენეჯერთან.</p>		
<p><b>პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა, რომელსაც ესაჭიროება სამედიცინო მომსახურება;</li> <li>➢ შტატით საჭირო სპეციალისტების შედარება მიმდინარე სპეციალისტების რიცხოვნობასთან;</li> <li>➢ დაზღვევის ეფექტიანობის შეფასება;</li> <li>➢ პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს მკურნალობის კურსი;</li> <li>➢ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი დადუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, სშმ-ს მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრების, პენსიონერებისა და სამოქალაქო პირთა რიცხოვნობა.</li> </ul>		
<p><b>2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები</b></p>		
<b>წელი</b>	<b>განსაზღვრული მითითებები</b>	<b>შენიშვნები</b>
2015	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამხედრო-სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა;</li> <li>• პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება;</li> <li>• ავადობის მაჩვენებლებისა და შრომისუნარობის ხანგრძლივობის შემცირება;</li> <li>• პაციენტებისთვის, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების მიხედვით, ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა.</li> </ul>	

**პროგრამა 7: სამხედრო განათლების განვითარება**

**მიზანი:** პირველადი და უმაღლესი სამხედრო განათლების სისტემის განვითარება და შეიარაღებული ძალების პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მხარდაჭერა.

**პროგრამის კოორდინატორი:** ინიშნება მინისტრის მიერ

**სისპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პროგრამის აღწერა:**

კადეტების მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება. კადეტთა ინტელექტუალური, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, მათთვის ზოგადი საშუალო განათლების მიცემა, კადეტების გონებრივი უნარ-ჩვევების და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, მათი აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. პანსიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კადეტების უზრუნველყოფა საცხოვრებელი პირობებით, კვებით, სანივთე ქონებით, უნიფორმით, სამედიცინო დახვედრით, სასწავლო ლიტერატურით და სხვა სოციალური პირობებით.

**სისპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროგრამის აღწერა:**

მოხდება ოფიცრის ყველა წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეთა, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადება. აგრეთვე, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების დაწესებულებებში მომუშავე სამოქალაქო პირების კვალიფიკაციის ამაღლება; აკადემიის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება. აგრეთვე, სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესისთვის საჭირო სასწავლო და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით უზრუნველყოფა; მსმენელებისათვის სპორტული და გამაჯანსაღებელი გარემოს შექმნა; დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და უცხოეთის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებთან, ასევე საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება. მსმენელების, პროფესორ-მასწავლებლების/ინსტრუქტორების და აკადემიის პერსონალის საზღვარგარეთ სტაჟირება-მივლინების დაგეგმვა და ორგანიზება; პერსონალისა და მსმენელების ფსიქოლოგიური მდგომარეობის პერიოდული შეფასება, მათი ცოდნის ამაღლება და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქო-სოციალური ადაპტაცია/რეაბილიტაცია, კომუნიკაციისა და ემოციური მდგრადობის მართვის უნარ-ჩვევების გაღრმავება; პირადი შემადგენლობის საქმიანობის მართვა და ადმინისტრირება; აკადემიის პერსონალისა და მსმენელების შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

**ზოგადი მითითებები:**

სმმ-ის კვალიფიციური ოფიცრებით დაკომპლექტების მიზნით აუცილებელია სამხედრო განათლების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. ამ მიზნით, სისპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რათა სამხედრო უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა მაქსიმალურად მიუახლოვდეს მსოფლიო სტანდარტებს. მსმენელთა განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია მათთვის უსაფრთხო საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. უმაღლესი განათლების სისტემის დახვეწის ხელშეწყობა ბაკალავრიატის (შემდგომ - მაგისტრატურის) დონეზე ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროპულ და გლობალურ აკადემიურ სისტემაში ინტეგრაციის გზით.

**პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:**

- კურსდამთავრებულების რაოდენობა;
- კადეტების და კურსანტების რაოდენობა;
- ყოველწლიურად მოხდება კურსდამთავრებულთა გამოშვება მანვერის, არტილერიის, ლოგისტიკის, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, დაზვერვის, პერსონალის მართვის, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის განხორციელება;
- სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციებში მომუშავე კვალიფიციური უფროსი ოფიცრებისა და სამოქალაქო პირთა რაოდენობა;
- საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კვალიფიციური პერსონალის და უცხო ენების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა;
- აკადემიის ავტორიზაცია/აკრედიტაცია, აკადემიისა და საქართველოს, უცხოურ ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- საზღვარგარეთ მივლინებული/სტაჟირებაზე წარგზავნილი მსმენელებისა და აკადემიის პერსონალის რიცხოვნობა;
- სრულფასოვანი სასწავლო პროცესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის საჭირო ინვენტარისა და ტექნიკის რაოდენობა.

**2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები**

წელი	განსაზღვრული	მითითებები შენიშვნები
2015	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს შეიარაღებული ძალების კვალიფიციური უმცროსი ოფიცრებით დაკომპლექტება, რომლებსაც გამომუშავებული ექნებათ ოცეულის მეთაურისთვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები;</li> <li>• საქართველოს შეიარაღებული ძალების კვალიფიციური ოფიცრებით დაკომპლექტება, რომლებსაც გამომუშავებული</li> </ul>	

	<p>ეწევათ სამანვერო, საბრძოლო უზრუნველყოფის ასეულის მეთაურების, ასევე, ბატალიონის შტაბის სამსახურის უფროსებისა და ბრიგადის შტაბის ოფიცრებისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სშმ-ის კვალიფიციური უფროსი ოფიცრებით, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციებში მომუშავე სამოქალაქო პირებით დაკომპლექტება, რომლებიც შეძლებენ ოპერაციებისა და სამხედრო კამპანიების დაგეგმვას, მომზადებას, აღსრულებასა და შეფასებას ბატალიონის, ბრიგადის, სახმელეთო ჯარების სარდლობის შტაბისა და გენერალური შტაბის დონეზე;</li> <li>• თავდაცვის რესურსების მართვის უნარის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც რეკომენდაციას გაუწევენ ხელმძღვანელობას სამხედრო-პოლიტიკური ვითარების კუთხით;</li> <li>• სშმ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების დაწესებულებებში მომუშავე სამოქალაქო პირთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, კვალიფიკაციის ამაღლება და მათი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება.</li> <li>• სასწავლო პროცესში ელექტრონული კურსების გამოყენება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა;</li> <li>• სასწავლო პროცესების აკადემიური და ტექნიკური მხარდაჭერა; სრულფასოვანი სასწავლო პროცესის შესანარჩუნებლად საჭირო გარემოს შექმნა;</li> <li>• სამხედრო დისციპლინის განმტკიცება, მუშაობისთვის და სწავლისთვის უსაფრთხო გარემოს არსებობა და საბრძოლო მზადყოფნა; სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.</li> </ul>	
--	--	--

<p><b>პროგრამა 8: კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა</b></p> <p><b>მიზანი:</b> თავდაცვის სფეროსა და კრიტიკული ობიექტების კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის შექმნა, დანერგვა და განვითარება.</p> <p><b>პროგრამის კოორდინატორი:</b> ინიშნება მინისტრის მიერ</p>		
<p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს სტრუქტურული გაძლიერება, თავდაცვის სფეროსთვის კიბერუსაფრთხოების სისტემების მუდმივი განვითარება და მოდერნიზაცია, კიბერუსაფრთხოების სფეროში ინოვაციების დანერგვა და მათი მდგრადობის უზრუნველყოფა. კიბერუსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის ბიუროს შიდა პოლიტიკის, სამოქმედო გეგმის, კიბერუსაფრთხოების სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავება, მომზადება და მიღება. საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ექსპერტების რეკომენდაციებისა და მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების გაცნობის კუთხით. ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი 24 საათიან რეჟიმში მუშაობა. ცნობიერების ამაღლების მიზნით თანამშრომლების აქტიური ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგებში, კიბერუსაფრთხოების სფეროში მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება, კანონმდებლობის დახვეწა და მისი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, თავდაცვის სამხედრო კონტინენტის ნატოს კიბერწვრთნებში მონაწილეობის მუდმივი ხელშეწყობა და შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.</p>		
<p><b>ზოგადი მითითებები:</b></p> <p>პროგრამის დასაბუთება: კიბერსივრცეში არსებული საფრთხეებისა და რისკების შემცირების, აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის შექმნა და დანერგვა, ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფების 24 საათიან რეჟიმში მუშაობა.</p>		
<p><b>პროგრამის შედეგების შეფასების კრიტერიუმები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ თავდაცვის სისტემისა და კრიტიკული ობიექტების კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კიბერსივრცეში არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და ინციდენტებზე რეაგირებისათვის მუდმივი მზადყოფნა;</li> <li>➢ 24/7 სწრაფი რეაგირების სამსახურის მიერ პრევენციული ზომების განხორციელება;</li> <li>➢ თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ობიექტების შეუფერხებელი მოქმედება.</li> </ul>		
<b>2015-2018 წლებით გათვალისწინებული კონკრეტული მითითებები</b>		
<b>წელი</b>	<b>განსაზღვრული მითითებები</b>	<b>შენიშვნები</b>
2015	<p>კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის შექმნა, დანერგვა, განვითარება და განმტკიცება მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კიბერსივრცეში შესაძლო რისკების, საფრთხეებისა და ინციდენტების გამოვლენას, შეფასებას, პრევენციას, მონიტორინგსა და მის ანალიზს;</li> <li>• ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოებას, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების პროგრამულ და აპარატურულ დაცულობას და ეფექტურად ფუნქციონირებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>

დანართი №3

თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო რესურსების მოთხოვნების და „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით“ განსაზღვრული დაფინანსების დინამიკა.

